P-ISSN 1987-7668 / E-ISSN 2720-782X
https://doi.org/10.60131/jlaw.1.2025.9276
ლიცენზია: CC BY-SA

ეკატერინე ახალკაცი*

სანოტარო აქტის აღსრულების პრობლემატიკა

ნაშრომი შეეხება სანოტარო აქტის აღსრულების სამართლებრივ ბუნებას და ამ პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალური ხდება საერთაშორისო კონტექსტში. კვლევის მიზანია სანოტარო აქტის აღსრულების საკითხის სიღრმისეული შესწავლა, მისი შედარებითი ანალიზი და პრობლემების გადაჭრის ავტორისეული გზების შეთავაზება.

ნაშრომი ორიენტირებულია სამართლებრივი დოქტრინის, ნოტარიუსის როლის, სანოტარო აქტის მნიშვნელობისა და აღსრულების მექანიზმების ანალიზზე. ავტორი მიმოიხილავს ნოტარიუსის მიერ გაცემული აღსრულების ქვემდებარე აქტების ცნობა-აღსრულების პრობლემებს, განსაკუთრებით მინსკის კონვენციის ფარგლებში.

სტრუქტურულად, ნაშრომი მოიცავს შემდეგ საკითხებს: სანოტარო აქტის მნიშვნელობა და სამართლებრივი ბუნება – განხილულია ნოტარიუსის როლი, სანოტარო აქტის ცნება და მისი აღსრულების მექანიზმები. სანოტარო აქტის აღსრულების შედარებითი ანალიზი – გაანალიზებულია ესპანეთის, ჰოლანდიის, გერმანიის, უკრაინის, ხორვატიის და უნგრეთის პრაქტიკა. უცხოეთში გაცემული სანოტარო აქტების აღსრულების საკითხები საქართველოში – განხილულია მინსკის კონვენციის საფუძვლები, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა და კონკრეტული საქმეების მაგალითები.

ნაშრომი ეფუძნება კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდებს: დოკუმენტურ, შედარებითსამართლებრივ, ისტორიულ-სამართლებრივ და სისტემურ ანალიზს.

დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია ავტორისეული რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს სანოტარო აქტის აღსრულების პრაქტიკის გაუმჯობესებას. ნაშრომი მნიშვნელოვან მხარდაჭერას გაუწევს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სამართლებრივ საქმიანობას საერთაშორისო და ეროვნული კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: *სანოტარო აქტი, აღსრულება, უცხო ქვეყანა.*

1. შესავალი

საქართველოში ნოტარიუსის მიერ გაცემული აღსრულების ქვემდებარე აქტების ცნობა-აღსრულება ხდება მინსკის კონვენციის 51-ე მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე. თუმცა, უცხოეთში ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლების აღსრულების პრაქტიკა საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს, რაც საკითხს აქტუალურს და პრობლემურს ხდის. ნოტარიუსის მიერ გაცემული აქტების აღიარებისა და აღსრულების პროცესი უნდა რეგულირდეს იმავე წესებით, რომლებიც სასამართლო ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებებს ეხება, ვინაიდან სანოტარო აქტს შეუძლია სამართლებრივი შედეგების გამოწვევა სასამართლო გადაწყვეტილებების მსგავსად.

სტატიის მიზანია სანოტარო აქტის აღსრულების საკითხის შედარებითი ანალიზი, პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის ავტორისეული რეკომენდაციების შემუშავება. კვლევა ეფუძნება დოკუმენტურ, შედარებით-სამართლებრივ, ისტორიულ-სამარ-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

თლებრივ და სისტემურ ანალიზს, რომელთა საფუძველზეც ნაშრომი აკრიტიკებს არსებულ პრაქტიკას და იძლევა გაუმჯობესების გზებს.

2. სანოტარო აქტის აღსულება

2.1. სანოტარო აქტის მნიშვნელობა

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი ჩამოთვლის აღსრულების ქვემდებარე აქტებს. აღსრულებას დაქვემდებარებული აქტების ჩამონათვალი კანონის მიზნებისთვის უნდა იყოს ამომწურავი და ყურადღების მიღმა არ უნდა ტოვებდეს ისეთი აქტების აღსრულების შესაძლებლობას, რომელიც საკმაოდ ხშირია დღევანდელ სამართლებრივ რეალობაში.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი გამოყოფს აღსრულებად სამართლებრივ აქტებს და ერთმანეთისგან განასხვავებს ქვეყნის შიგნით გამოცემულ აღსრულებად აქტს და ქვეყნის გარეთ, მაგალითად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი ერთმანეთისგან აცალკევებს არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, როგორც აღსრულების ქვემდებარე აქტს და უცხო ქვეყნის არბიტრაჟის ან საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელის აღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით[1]. ამასთან, აღსრულებას ექვემდებარება სანოტარო აქტიც[2], მაგრამ არ არის მითითებული, კონკრეტული დანაწესი ვრცელდება თუ არა უცხო ქვეყნის ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მიხედვით, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.[3] როდესაც საუბარია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე გამოცემული სამართლებრივი დოკუმენტის ცნობა-აღსრულების საკითხზე, მიზანშეწონილია, რომ კანონმდებელი ზუსტად განსაზღვრავდეს სხვადსხვა დოკუმენტის ცნობა-აღსრულებისთვის საჭირო პროცედურებს, მაგალითად, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით განსაზღვრულია უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურული წესი. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს.[4]

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები;

გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის

---

1 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მ) ქვეპუნქტი.

2 იქვე, მე-2 მუხლის ნ) ქვეპუნქტი.

3 იქვე, 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

4 „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასასმართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. ხსენებული ნორმა დეტალურად შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა- აღსრულება და ასევე, კანონი ასახელებს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახით, რომელიც უფლებამოსილია მოახდინოს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება.

ასევე, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 73[1] -ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.[5] „არბიტრაჟის შესახებ“ შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მიხედვით, ეს კანონი ადგენს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს.[6] „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მიხედვით, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის მიზნებისათვის უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო.[7] ამასთან, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება სასამართლოს განჩინების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

შესაბამისად, მაშინ, როდესაც კანონმდებელი დეტალურად არეგულირებს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების და უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებული არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებს წესებს, ასევე, უნდა დარეგულირდეს უცხო ქვეყნის ნოტარიუსის მიერ გამოცემული სანოტარო აქტის ცნობა-აღსრულების საკითხი, რადგან სანოტარო აქტიც არის დოკუმენტი, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილების მსაგავსად შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

მართალია, თეორიულ დონეზე, საქართველო, როგორც მინსკის კონვენციის ხელშემკვრელი მხარე, აღასრულებს სხვა ხელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიაზე გამოტანილ ნოტარიულ აქტებს, თუმცა მარეგულირებელი საკანონმდებლო დანაწესის არ არსებობის გამო, პროცედურული ნაწილი აღნიშნულისა რჩება კითხვის ნიშნის ქვეშ და შესაბამისად, მიუთითებს საკანონმდებლო ხარვეზზე.

---

5 იქვე, 73[1]-ე მუხლი.

6 „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი.

7 „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

საჭიროა სამართლებრივი კვლევის საშუალებით განვსაზღვროთ უცხო ქვეყნის ნოტარიუსის მიერ გაცემული აღსრულების ქვემდებარე აქტის ცნობა- აღსრულების შესაძლებლობა და წესი საქართველოს ტერიტორიაზე. კვლევისას განხილულ იქნა სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა და უზენაესი სასამართლოს განმარტებანი აღნიშნულ პრობლემურ საკითხზე.

პრობლემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც სააღსრულებო წარმოება ასრულებს იძულებითი აღსრულების რეგულატორის როლს[8], ხოლო რეგულირება იმისა, რაც იმთავითვე არ არის მოქცეული საკანონმდებლო ჩარჩოში, წარმოადგენს დიდ გამოწვევას და დაბრკოლებას სასამართლო ხელისუფლებისთვის.

2.2. ნოტარიუსის როლი სამართლებრივ პროფესიათა შორის

1992 წელს ჩატარებული ნოტარიატების ასამბლეის გახსნაზე, თავისი გამოსვლის ბოლოს, იმ დროისათვის ლნკ[9]-ს პრეზიდენტმა ჟილ დემერსმა აღწერა ნოტარიუსთა როლი საზოგადოებაში[10]: „ნოტარიუსები ასრულებენ უაღრესად სასარგებლო როლს ნებისმიერ თანამედროვე სახელმწიფოში. თავისი სანოტარო საქმიანობით ისინი უზრუნველყოფენ გარიგებათა მუდმივ ხასიათს, არიან რა სპეციალისტები იურიდიულ საკითხებში, მხარეებს განუმარტავენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს; მათი მიუკერძოებლობა არის ხელშეკრულებათა დაბალანსების გარანტია. როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლები, ანიჭებენ ავთენტურობასა და სააღსრულებო ძალას თავიანთ აქტებს“.

1996 წლიდან „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საბოლოოდ განისაზღვრა ნოტარიუსის, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის სამართლებრივი სტატუსი. ნოტარიუსი არის თავისი კლიენტის მიუკერძოებელი და სანდო მრჩეველი[11]. ნოტარიუსს შეიძლება ეწოდოს უდავო მართლმსაჯულების იურისტი.[12]

ნოტარიუსები ათწლეულების მანძილზე ჩვენი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. პირველი ნოტარიუსები გვხვდება ძველ ეგვიპტეში, ცნობილნი როგორც „მწიგნობრები“[13]. ნოტარიუსი არის მოქალაქის მიუკერძოებელი და სანდო მრჩეველი. ნოტარიუსის მიერ დამოწმებულ დოკუმენტს აქვს უდავო მტკიცებულებითი ძალა. ამასთანავე, ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო და სხვა, მასთან დაკავშირებულ მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას. [14]

შეიძლება დღემდე აქვს საზოგადოების ნაწილს კითხვა არიან თუ არა ნოტარიუსები ისევ აქტუალურნი, ან რატომ არიან? დღეს დისტანციურ სამყაროშიც კი ყველაფერი შეიძლება გაკეთდეს, მათ შორის, სანოტარო მოქმედებები, იპოთეკის ხელმოწერიდან სასამართლოში

---

8 *ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ.,* სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი ერთი, თბ., 2018, 19.

9 ლათინური ნოტარიატის კავშირი.

10 ნოტარიუსის საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების კეთილდღეობისათვის, ნოტარიუსი მეტრი ანდრე შვახტგენი, ლუქსემბურგი ლნსკ-ს საპატიო პრეზიდენტი.

11 *როსტიაშვილი მ.,* ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების სპეციფიკა, თბ., 2019, 8.

12 ნოტარიუსის საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების კეთილდღეობისათვის, ნოტარიუსი მეტრი ანდრე შვახტგენი, ლუქსემბურგი ლნსკ-ს საპატიო პრეზიდენტი.

13 Notary History, Clay Mason, იხ. <https://www.superiornotaryservices.com/blog/history-of-the-notary-seal/> [25.04.2025].

14 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე მედეა გვაზავა და ჯულიეტა არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ჩვენების მიცემამდე. პანდემიის დროს სხვადასხვა ინსტიტუტები სულ უფრო ხშირად იყენებდნენ ონლაინ ალტერნატივებს საზოგადოებისთვის საკარანტინო და სოციალური დისტანციური მოთხოვნების დაცვით[15]. შესაბამისად, არც ნოტარიუსებს დაუკარგავთ მნიშვნელობა, როდესაც საზოგადოების მოთხოვნილებების ცვლილების პარალელურად, შეძლეს მოსახლეობისთვის დისტანციური მომსახურების გაწევა. ელექტრონულ ეპოქაშიც ნოტარიუსი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც იყო ათასობით წლის წინათ.

ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო მოქმედების შესრულებისას სანოტარო მოქმედების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები განუმარტოს იმ პირებს, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას. ამასთანავე, ნოტარიუსი ვალდებულია იზრუნოს იმაზე, რომ არ შეილახოს იმ პირთა ინტერესები, რომლებიც არ იცნობენ საქართველოს კანონმდებლობას და საჭიროებენ სამართლებრივ კონსულტაციას[16].

ნოტარიატი წარმოადგენს საჯარო ფუნქციისა და კერძო ინიციატივის იდეალურ სინთეზს და იგი ხელმისაწვდომია ყველა სოციალური ფენისათვის. საქართველოში ნოტარიატის შესახებ არასაკმარისი თეორიული ცოდნის გამო მისი პოტენციალი არასრულად არის გამოყენებული. საქართველოს ნოტარიატში უკანასკნელ წლებში დანერგილმა საკანონმდებლო და ტექნოლოგიურმა სიახლეებმა დაგვანახა, რომ ნოტარიატი არის სისტემა, რომლსაც დინამიური განვითარებისა და სრულყოფის პირობებში გააჩნია ახალი, ჯერ კიდევ სრულად აუთვისებელი შესაძლებლობები[17].

2.3. სანოტარო აქტის ცნება და არსი

სანოტარო მოქმედებათა კლასიფიკაცია მეცნიერული განსჯის საგანია და პირობითია. კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგი კრიტერიუმებით: სამართალურთიერთობის განვითარების თუ რომელ სტადიაზე წარმოიშობა (სამართალურთიერთობის წარმოშობა, განხორციელება, უზრუნველყოფა-დაცვა და სხვა ყველა), თუ რას ისახავს მიზნად (უდავო უფლებების დამოწმებას, სააღსრულებლო ძალის მინიჭებას, უდავო ფაქტების დადასტურებას და ა.შ. ასევე შესაძლებელია მათი დაყოფა შინაარსის მიხედვით.[18] თუმცა აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა არ იცნობს მათ ამგვარ დაყოფას და ახდენს სანოტარო აქტების მხოლოდ ორ სახედ კერძო და საჯარო აქტებად დაყოფას. ეს დაყოფა ასევე ცნობილია როგორც რთული და მარტივი სანოტარო აქტების ფორმა, ხოლო საზღვარგარეთ იგივე კრიტერიუმით განასხვავებენ სანოტარო აქტების დადასტურებას და სანოტარო აქტების დამოწმებას.[19]

ნოტარიუსების მიერ სანოტარო მოქმედებების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

---

[15] ნოტარიუსთა ასოციაცია პენსილვანიაში, იხ. <https://www.notary.org/article-why-are-notaries-still-important> [25.04.2025].

[16] „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლი.

[17] სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, საქართველოს ნოტარიატის განვითარების სტრატეგია 2014 წლისათვის, 23.

[18] *სუხიტაშვილი დ.*, სანოტარო სამართალი, თბ., 2012, 54.

[19] *ხარიტონაშვილი ნ.*, სანოტარო სამართალი 2021, თბ., ბონა კაუზა, 34.

ნოტარიუსი საჯარო აქტის ფორმით გასცემს სააღსრულებო ფურცელს, თუ ამაზე არსებობს მხარეთა შეთანხმება და ნოტარიუსის მიერ სანოტარო აქტში წერილობით განმარტებულია სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგები[20]. ნოტარიატის მიზანთაგან ერთ-ერთია სამოქალაქო ბრუნვის სიმყარის და სახელშეკრულებო ვალდებულებათა კეთილსინდისიერად შესრულების ხელშეწყობა, სანოტარო აქტის მტკიცებულებითი და სააღსრულებო ძალა[21]. სანოტარო აქტი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე, უდავო მტკიცებულებითი და სააღსრულებო ძალის მქონე დოკუმენტს.

„ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების ვადადამდგარი მოთხოვნის, ქონებაზე უფლების გადაცემის, აგრეთვე დაგირავებულ/იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევის მოთხოვნის საფუძველზე, თუ ამაზე არსებობს მხარეთა შეთანხმება და ნოტარიუსის მიერ სანოტარო აქტში წერილობით განმარტებულია სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგები.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის 72-ე მუხლი ადგენს სააღსრულებო ფურცლის გაცემის წესებს: „1. ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს იმ სანოტარო აქტის აღსასრულებლად, რომლის საფუძველზე დადგენილი ვალდებულების აღსრულება კანონმდებლობის შესაბამისად დაიშვება ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ არის გასული ვალდებულების შესრულების ხანდაზმულობის კანონით დადგენილი ვადა. 2. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორის (მისი უფლებამონაცვლის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონმდებლობით დადგენილ რეკვიზიტებს. 3. სააღსრულებო ფურცელს პირველ რიგში გასცემს ის ნოტარიუსი (მისი არყოფნისას – შემცვლელი, თუ ასეთი დანიშნულია), რომელმაც დაამოწმა აღსრულებას დაქვემდებარებული სანოტარო აქტი."

2.4. სანოტარო აქტის სააღსრულებო ძალა

სანოტარო აქტს აქვს სასამართლო გადაწყვეტილების თანაბარი ძალა, არ ექვემდებარება სააპელაციო გასაჩივრებას. მისი შესრულება არ მოითხოვს წინასწარ მიმართვას სასამართლოსადმი, სანოტარო აქტის შესრულება ხდება ავტომატურად, მისი ბუნებიდან გამომდინარე. სანოტარო აქტი არის დოკუმენტი, რომელიც სრულდება მხარეთა ნების საფუძველზე.

მხარეები იღებენ რა ვალდებულებას, შეასრულონ სანოტარო აქტის დებულება და წინასწარ, თავისი ნებით თანხმდებიან ოპერატიულად შეასრულონ საკუთარ თავზე აღებული ვალდებულება.

აქტის „სასამართლოს გარეშე" აღსრულება საფრთხეს არ უქმნის მოვალის დაცვით საშუალებებს. გადავადების ან აღსრულების შეჩერების მიზნით, მოვალეს უფლება აქვს გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული მითითებები, კერძოდ:

– მოითხოვოს კანონით გათვალისწინებული ვადის დაცვა;

[20] რეკომენდაცია სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემისათვის დადგენილი საზღაურის გამოანგარიშების თაობაზე, მიღებული საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის 2015 წლის 22 დეკემბრის #21.1 გადაწყვეტილებით.

[21] სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა საქართველოს ნოტარიატის განვითარების სტრატეგია 2014 წლისათვის.

- მოითხოვოს სააღსრულებო ძალის შეჩერება, დანაშაულად კვალიფიცირებული გაყალბების შესახებ საჩივრის ან სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის სიყალბის შესახებ განცხადებით;
- დაეყრდნოს ზოგიერთ საკანონმდებლო დებულებებს, რომელიც იძლევა აღსრულების გადავადების საშუალებას (ნოტარიუსის არჩევანის, სავაჭრო ფირმის მუშაკის, ნასყიდობის პირობების და ა.შ. გასაჩივრება).

სანოტარო ფორმა, წარმოადგენს მხარეთა დაცვის საშუალებას. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მხარეებს უფლება აქვთ თვითონ აირჩიონ საკუთარი დოკუმენტების დამოწმების ფორმა. დარგი, რომელშიც სანოტარო ფორმა არის სავალდებულო, გამოკვეთილი და განსაზღვრულია იმ შემთხვევების ანალიზი, რომელთათვისაც სავალდებულოა სანოტარო დამოწმება და რისთვისაც ითხოვენ მას კანონმდებლები, საშუალებას იძლევა გამოვყოთ ოთხი მიზეზი, რომელიც ჯგუფდება დაცულობის იდეის გარშემო.

სხვა შემთხვევაში, დამოწმების სანოტარო ფორმა სავალდებულოა აქტის სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე. მაგალითად, ყველა ქვეყანაში ისეთი საზოგადოებების ჩამოყალიბებისას, რომლებიც წარმოადგენენ კაპიტალის გაერთიანებას (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, სააქციო საზოგადოებები, კომანდიტური სააქციო საზოგადოებები). მიზეზს წარმოადგენს ის, რომ იმ ტიპის საზოგადოებების შექმნისას, რომლებიც ოპერირებენ უფრო მსხვილი კაპიტალით, ვიდრე ცალკეულ პირთა გაერთიანება და რომლებსაც ხელი მიუწვდებათ მოსახლეობის ფულად ანაბარზე, ანგარიშში პატარა შეცდომამ შეიძლება მიგვიყვანოს არამართლზომიერ შედეგებამდე. „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის მიზანსაც წარმოადგენდა ნოტარიატის როლის გაძლიერება.

სანოტარო ფორმა აუცილებელია აგრეთვე მოქალაქეთა დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც მიჩნეულნი არიან ნაკლებად დაცულებად, პირობითად, არასრულწლოვნები და არაქმედუნარიანები, აგრეთვე ისეთი მემკვიდრენი, რომლებიც პასუხს აგებენ მამკვიდრებლის ვალებისათვის მხოლოდ სამკვიდრო ქონების ფარგლებში.

და ბოლოს,. სანოტარო ფორმა ხდება სავალდებულო იმ შემთხვევებში, როცა ის წარმოადგენს ობიექტური ინფორმაციის პირობას მესამე მხარეთათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან იყვნენ საქმის კურსში უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ყველა ცვლილებისა და პოტენციური მოვალეების შესახებ (უძრავი ქონების გადასვლა და რეგისტრაცია, იპოთეკით დატვირთვა).

2.5. სანოტარო აქტის უდავო იურისდიქცია

ნოტარიუსს შეიძლება ჰქონდეს მომრიგებელი შუამავლის კომპეტენციაც, რომელიც დოკუმენტებს აძლევს სააღსრულებო ძალას, იგი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ რომელიმე განსაკუთრებული დარგით, არამედ უნდა განავრცოს საქმიანობა იმ შემთხვევებშიც, როდესაც მხარეები მოითხოვენ მის მონაწილეობას და გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ სხვა პროფესიის წარმომადგენელთა კომპეტენციას.

ამგვარად, ნოტარიუსს, რომელიც გამოდის „კერძო მოსამართლის“[22] როლში, შეუძლია არ შემოიფარგლოს მხოლოდ კონსულტაციის გაცემითა და სანოტარო აქტის შედგენით, არა-

[22] „ნოტარიუსის საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების კეთილდღეობისათვის“ ნოტარიუსი მეტრი ანდრე შვახტგენი, ლუქსემბურგი ლნკ-ის საპატიო პრეზიდენტი. 6.

მედ მხარეთა შორის დავის არსებობისას გამოვიდეს არბიტრის როლშიც. ნოტარიალური ფუნქციის და უდაო იურისდიქციის დარგში სასამართლო ხელისუფლების როლთან მისი მსგავსების გათვალისწინება, შესაძლებელს ხდის სასამართლო უფლებემოსილების მნიშვნელოვანი ნაწილის ნოტარიუსებისათვის გადაცემას.

ნოტარიუსის საქმიანობა, როგორც სამართლებრივი დაცულობის გაზრდის საშუალებას და ნოტარიუსის მიერ უდავო იურისდიქციის შესრულებას მივყავართ სასამართლო წარმოებაზე გაწეული ხარჯის მნიშვნელოვნად შემცირებისაკენ. სანოტარო საქმიანობის წყალობით მცირდება ვადა და მარტივდება მტკიცებულებათა წარდგენის პროცედურა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამართლებრივი დაცვის გაზრდის შედეგად, მცირდება სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევები. მთელ მსოფლიოში სანოტარო აქტების საერთო რაოდენობის მხოლოდ ერთი მეათასედი ნაწილი ხდება სადაო სასამართლოში. სანოტარო აქტების მტკიცებულებითი და სააღსრულებო ძალის იურიდიული შედეგები მხარეთა შორის კონსენსუსის მიღწევის მცდელობა, რაც თავიდან გვაცილებს სასამართლოსადმი მიმართვას, სანოტარო აქტების ავთენტურობა და მტკიცებულებითი ძალა, რაც ამარტივებს სასამართლოსთვის მტკიცებულებათა წარდგენის პროცედურას და ამავე აქტების სააღსრულებო ძალა მნიშვნელოვნად ამარტივებს იძულებითი აღსრულების პროცედურას და საშუალებას იძლევა მისგან გავათავისუფლოთ სასამართლოები.

2.6. ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა არ არის დამოკიდებული ნოტარიუსის ნებაზე და არ არის კანონმდებლობით სავალდებულო, მაგრამ როდესაც მხარეები თანხმდებიან ნოტარიუსისთვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭებაზე, პირობის ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის ურთიერთობაა მხარეთა შორის, რომელი ხელშეკრულებაა და ა.შ.

სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან დაკავშირებული წარმოების დასაწყებად მოითხოვება კანონმდებლობით განსაზღვრული კონკრეტული პირობების დაკმაყოფილება, რომლებიც განსხვავებულად წესრიგდება სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით, ასევე განსხვავებულადაა რეგულირებული ნოტარიუსის უფლებამოსილების ფარგლები სააღსრულებო ფურცლის გაცემის პროცესში. პირობითად, იტალიის[23] კანონმდებლობით, სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე ნოტარიუსის უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე. ბელგიაში, იაპონიასა და საფრანგეთში ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა დასაშვებია ნებისმიერ საქმეზე თუმცა, საფრანგეთის კანონმდებლობა ადგენს გამონ აკლისს, კერძოდ, საცხოვრებელ სადგომზე უკანონო ხელშეშლის აღკვეთის შესახებ სარჩელი ექვემდებარება მხოლოდ სასამართლო განსჯადობას[24].

საქართველოს კანონმდებლობა[25] ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემას უკავშირებს მხარეთა ნებას. კერძოდ, მათ მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებულ დათქმას, ხელ-

[23] „ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები“, *მახათაძე ნ.,* სამეცნ. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ #3(71)'21, 58.

[24] *Rouchaud A.M.,* Conclusions – Workshop No. 2: Writs of execution, The Execution of court decisions in civil cases, Council of EuropaPublishing, 1998, 117.

[25] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი და „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ 2010 წლის 31 მარტის No71 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება.

შეკრულების დარღვევის შემთხვევაში, ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე[26]. სასამართლოს განმარტებით[27], უშუალოდ ხელშეკრულების ტექსტში, სადაც ხელშეკრულების არსებითი პირობებია ჩამოყალიბებული, თუ არ არსებობს ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე მხარეთა შეთანხმება, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელის უპირობოდ ბათილია.

„ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონი ადგენს ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობას კრედიტორის (მისი უფლებამონაცვლის) წერილობითი განცხადების საფუძველზე და ჩამოთვლის ყველა იმ აუცილებელი რეკვიზიტს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ხსენებული განცხადება. განცხადების წარდგენა სააღსრელებო ფურცლის გაცემასთან დაკავშირებული სამართალწარმოების დაწყების საფუძველია.[28] მიმართვის შემდეგ, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს ყველა ის ფორმალური წინაპირობება, რომელიც განაპირობებს სააღსრულებო ფურცლის გაცემას. პირველ რიგში, ნოტარიუსი ამოწმებს მხარეთა შეთანხმებასა და მის ნამდვილობას, ასევე, ამოწმებს იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული ნების შინაარსს. კერძოდ, აღსასრულებელი მოთხოვნის დეტალებს, მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობას და მხარეთა პერსონალურ მონაცემებს, მოთხოვნის აღსრულებადობას. სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარის საფუძველია შინაარსობრივი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, ხოლო უარის საფუძვლების მიუხედავად, მოთხოვნების დარღვევით გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაცემა – სასამართლოს მიერ მისი შემდგომში გაუქმების საფუძველია[29].

აქამდე ნოტარიუსის მიერ სააღსრილებო ფურცლის გაცემას ვუწოდეთ სანოტარო აქტის იურისდიქცია, რომელიც შეგვიძლია მოვიხსენიოთ, როგორც „ნოტარიუსის განსჯადობა". საქმე იმაშია, რომ ნოტარიუსი სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან დაკავშირებულ პროცესში, გვევლინება როგორც სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებლად. მართალია, ნოტარიუსს სააღსრულებო წარმოების უფლებამოსილება ფორმალურად არ აქვს მინიჭებული, არამედ ახორციელებს ამ ფუნქციას, როგორც სასამართლო ხელისუფლების მიერ დელეგირებულ აქტს[30]. აქედან გამომდინარე, სააღსრულებო ფურცლის გაცემისას ნოტარიუსი ექვემდებარება ზუსტად იმავე მოთხოვნებს, რასაც მოსამართლე. სასამართლო კი, გადაწყვეტილების გამოტანისას მხედველობაში იღებს მოთხოვნის აღსრულებადობას[31], ანალოგიური წესი ვრცელდება ნოტარიუსზეც.

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის ერთ-ერთ წინაპირობას ასევე, წარმოადგენს შესასრულებელი ვალდებულების ვადამოსულობა[32]. საქართველოში ნოტარიუსი სააღსრულებო ფურცლის გაცემის პროცესში ასრულებს პასიურ ფუნქციას. სააღსრულე-

---

[26] ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 38, პუნქტი 5, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, No46, 22.12.2009, მუხ. 346.

[27] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 16 იანვრის გადაწყვეტი- ლება საქმეზე Noას-689-655-2013.

[28] „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 40, პუნქტი 1, საქართვე- ლოს საკანონმდებლო მაცნე, No46, 22.12.2009, მუხ. 346.

[29] „ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები", *მახათაძე ნ.,* სამეცნ. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი" #3(71)'21, 62.

[30] *Preuss N.,* Zivilrechtspflege durch externe Funktionsträger, Mohr Siebeck, Tübingen, 2005, p. 41.

[31] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 363საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 363[32].

[32] „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 38.5.

ბო ფურცლის გაცემისათვის საფუძველია განცხადების შეტანა და მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დაცვა.

3. სანოტარო აქტის აღსრულების პრობლემატიკა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

3.1. სანოტარო აქტის აღსრულება ესპანეთში

ესპანეთის სამეფოში ნოტარიუსთა საქმიანობას ზედამხედველობს იუსტიციის სამინისტრო და უმაღლეს ნოტარიუსად განსაზღვრულია ესპანეთის სამეფოს იუსტიციის მინისტრი[33].

ნოტარიუსის მიერ გაცემული აქტები[34], ესპანური სამართლის მიხედვით, წარმოადგენს სააღსრულებო წარმოების დაწყების ერთ-ერთ საფუძველს. ამასთან, კანონი განსაზღვრავს, რომ აღსრულებადია არა მხოლოდ პირველად გაცემული აქტი (ორიგინალი), არამედ, ასევე, მისი ასლებიც, თუ ისინი გაცემულია ორივე მხარის თანხმობის საფუძველზე, ან თუ სასამართლოს მიერ არის ასლი გაცემული და მითითებულია ის პირი, ვის მიმართაც უნდა განხორციელდეს აღსრულება[35]. იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ წესთან დაკავშირებით განმარტებულია, ასევე, ის, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემული აქტის აღსრულებადობაზე გავლენას არ ახდენს მისი გამოცემის დრო[36].

გარდა ამისა, განსხვავებით ქართული სამართლისა, ესპანეთში დასაშვებია ნოტარიუსის მიერ ცალკეული სააღსრულებო მოქმედების ჩატარება. ასეთია იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია აუქციონის მეშვეობით, თუ ამის თაობაზე არსებობს მხარეთა შორის შეთანხმება. ფულადი მოთხოვნების იპოთეკით უზრუნველყოფა გავრცელებული პრაქტიკაა და ასეთი საქმეები საჭიროებს სწრაფ რეაგირებას, რის გამოც იპოთეკით უზრუნველყოფილ მოთხოვნებზე სააღსრულებო მოქმედების ჩატარების უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ ნოტარიუსებს, რაც მოთხოვნების აღსრულების უფრო სწრაფ პროცესს უზრუნველყოფს. ამ შემთხვევებში აუქციონის მთელ პროცესს წარმართავს ნოტარიუსი[37].

ის ფაქტი, რომ იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია ნოტარიუსის მიერ უშუალოდ, სასამართლოს მონაწილეობის გარეშე ხდება, მათ ფართო უფლებამოსილებას უსვამს ხაზს. ნოტარიუსი თავად განიხილავს კრედიტორის მიერ წარდგენილ მოთხოვნას და თუ ყველა წინაპირობა დაცულია, იწყებს აუქციონის პროცედურას და თავად წარმართავს აუქციონს ელექტრონულად. აუქციონის შესახებ ინფორმაცია და, ასევე, იმ ნოტარიუსის მონაცემები, რომელიც წარმართავს აუქციონს, ქვეყნდება ოფიციალურ სახელმწიფო ბიულეტენში[38].

---

33 Ley del Notariado de (Ministerio de Gracia y Justicia), num. 149, de 29/05/1862, BOE-A-1862-4073.

34 Escrituras públicas – საჯარო აქტები, რომლებიც შედგენილი/გაცემულია ნოტარიუსის მიერ და შეიცავს შესაბამის რეკვიზიტებს (მათ შორის, აღნიშვნას, რომ ხელმოწერილია ნოტარიუსის თანდასწრებით, აღნიშვნას მხარეთა ქმედუნარიანობის შემოწმების შესახებ და ა.შ.) (იხ. – <https://www.notariado.org/portal/c%C3%B3mo-leer-la-escritura> [25.04.2025].

35 Ley de Enjuiciamiento Civil, (Jefatura del Estado) núm. 7, de 08/01/2000,BOE-A-2000-323, art. 517.2. 40.

36 *Faba J. M.,* Sobre la fuerza ejecutiva de la escritura pública y el nuevo sistema de expedición de copias: cuestiones surgidas en la jurisprudencia actual. Revista CESCO De Derecho De Consumo, (20), 2017, 74-81 <https://revista.uclm.es/index.php/cesco/article/view/1247> [25.04.2025].

37 Reglamento Hipotecario, (Ministerio de Justicia) núm. 106, de 16/04/1947, BOE-A-1947-3843, art.234.

38 იქვე, 234-ე და შემდგომი მუხლები.

3.2. სანოტარო აქტის აღსრულება ჰოლანდიაში

ჰოლანდიაში სანოტარო საქმიანობა თავისუფალ პროფესიად არის აღიარებული; ნოტარიუსი ინიშნება დედოფლის მიერ; ამასთან, უფლებათა გადაცემის ხელშეკრულებებზე (გარიგების დადება, გაუქმება) ხელმოწერის დამოწმება ხდება მხოლოდ მათი მონაწილეობით.[39]

ჰოლანდიური კანონმდებლობით ნოტარიუსს უფრო ფართო უფლებამოსილებები აქვს მინიჭებული და ნოტარიუსის ინსტიტუტი გამოყენებულია არამხოლოდ სასამართლოს განტვირთვისთვის, არამედ აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანოს განსატვირთადაც. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ქონების ნოტარიუსის მიერ რეალიზაციაზე; თუმცა ნოტარიუსს აქვს მინიჭებული მხოლოდ უძრავი ქონების რეალიზაციის უფლებამოსილება[40].

განსხვავებით ქართული კანონმდებლობისა, ჰოლანდიური კანონმდებლობა არ უშვებს ქონების კრედიტორის საკუთრებაში გადასვლას, არამედ სავალდებულოდ ა დგენს ქონების საჯარო აუქციონზე რეალიზაციას. ეს გზა ითვლება ქონების რეალური ღირებულების დასადგენად ყველაზე ოპტიმალურ საშუალებას. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ასევე არ არის დაშვებული აუქციონის კრედიტორის მიერ ჩატარება. ამასთან, ქონების რეალიზაციაზე განცხადება კეთდება საჯაროდ, გაზეთში; რაც მოვალის გარდა სხვა კრედიტორების ინფორმირებასაც ისახავს მიზნად.[41]

3.3. სანოტარო აქტის აღსრულება გერმანიაში

ქონების რეალიზაცია დავალიანებული თანხის გადახდევინების მიზნით ცნობილია ასევე გერმანული კანონმდებლობისთვისაც. აღსრულების ქვემდებარე აქტი შესაძლოა გაიცეს ნოტარიუსის მიერ, სანოტარო ფორმით დამოწმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. რეალიზაციის ეს ფორმა განსაკუთრებულად მიმზიდველია, რამდენადაც იძლევა კრედიტორის სწრაფად დაკმაყოფილების შესაძლებლობას, მხარეთა მიერ შეთანხმებულ საბაზრო ფასში. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი გაიცემა ნოტარიუსის მიერ ყოველგვარი დამატებითი განხილვის გარეშე.[42]

3.4. სანოტარო აქტის აღსრულება უკრაინაში

უკრაინის კანონმდებლობით დაშვებულია კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში არასასამართლო გზით ქონების რეალიზაცია, სანოტარო ორგანოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

3.5. სანოტარო აქტის აღსრულება ხორვატიაში

ხორვატიაში ნოტარიუსს გამარტივებული წარმოების შედარებით უფრო მაღალ სტანდარტებს ვხვდებით. კერძოდ, აუცილებელი არ არის გარიგებით იყოს გათვალისწინებული

---

[39] Paul Van Der Molen, Land registration and cadaster in selected European countries, Austria, Bulgaria, Croatia, Hungary, Netherlands, Serbia, ed. By center of legal competence e(CLC), published by Intersentia, 2009, 194.

[40] The activities of the Dutch enforcement agent, Jos Uitdehaag, Oct 2014, Netherlands, 19.

[41] იქვე, 82.

[42] Wolf C.R., Real-estate property Law Germany, Key Aspects of German business law, a practical manual, Michael Wendler (ed) 4, ed., Berlin, Heidelberg, Springer 2008, 284.

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობა; ხორვატიის კანონმდებლობით, ნოტარიუსი უფლებამოსილია გასცეს სააღსრულებო ფურცელი იმ შემთხვევაშიც, თუ კრედიტორი ვალის არსებობის სარწმუნო დოკუმენტს წარუდგენს. იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ ეთანხმება სააღსრულებო ფურცელს, მას შეუძლია წამოიწყოს სასამართლო წარმოება სარჩელის სასამართლოში შეტანის გზით.[43]

3.6. სანოტარო აქტის აღსრულება უნგრეთში

უნგრეთის შემთხვევაში კანონმდებლობა ნოტარიუსს შემოფარგლავს გარკვეული თანხის ოდენობით; კერძოდ: თუ დავალიანების ოდენობა არ აღემატება 3 მილიონ უნგრულ ფორინტს (დაახლოებით 9,500.00 ევრო) კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს გადახდის ბრძანების გაცემა ნოტარიუსისგან; თუ დავალიანება აღემატება ზემოთ მითითებულ თანხას მაგრამ ნაკლებია 30 მილიონ უნგრულ ფორინტზე (დაახლოებით 95,000.00 ევრო) კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს ნოტარიუსს, მაგრამ ასევე შეუძლია მიმართოს სასამართლოს უფლების დასაცავად. სააღსრულებო ფურცლის გაცემის მიზნით, ნოტარიუსისათვის საკმარისია მხოლოდ განცხადების წარდგენა დავალიანების არსებობაზე (დამატებითი მტკიცებულების გარეშე) / მსგავსია საქართველოში არსებული გამარტივებული წარმოებისა, რა დროსაც გადახდის ბრძანების გაცემა დამოკიდებულია რესპოდენტის შეპასუხებაზე). იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე არ ეთანხმება დავალიანების არსებობას, იწყება სასამართლო წარმოება, სადაც უკვე საჭირო ხდება ვალის არსებობის მტკიცებულებებით გამყარება. ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება აუცილებლად ეცნობება მოვალეს, რა დროსაც იგი უფლებამოსილია გაასაჩივროს ნოტარიუსის გადაწყვეტილება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უნგრეთი იმდენად წინ არის წასული ელექტრონულ წარმოებაში, რომ დავის წარმოება/გასაჩივრება შესაძლებელია რეგისტრირებული ელ. ფოსტის მეშვეობითაც კი.[44]

4. უცხო ქვეყანაში ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე

მინსკის კონვენციის 51-ე მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე, საქართველოში ხდება ასევე ნოტარიუსის მიერ გაცემული აღსრულების ქვემდებარე აქტების ცნობა-აღსრულება. თუმცაღა, აღნიშნულთან დაკავშირებით პრაქტიკა ჯერჯერობით არ გვაქვს. სავარაუდოდ, ნოტარიუსის მიერ გაცემული აღსრულების ქვემდებარე აქტის ცნობა-აღსრულება იმავე წესით მოხდება, რა წესითაც ხორციელდება სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ცნობა-აღსრულება.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მიხედვით, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.[45] როდესაც საუბარია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე გამოცემული სამართლებრივი დოკუ-

[43] <www.E-justice.europa.eu> procedures for enforcing a judgement – Croatia; <https://e-justice.europa.eu content_procedures_for_enforcing_a_judgment-52-hr-en.do?member=1> [25.04.2025].

[44] Debt Collection in Europe, Christian Steden etc., European Law Firm, 2019, 35 <https://www.european-law-firm.com/guide/debt-collection-in-europe07022019.pdf> [25.04.2025].

[45] „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

მენტის ცნობა-აღსრულების საკითხზე, მიზანშეწონილია, რომ კანონმდებელი ზუსტად განსაზღვრავდეს სხვადსხვა დოკუმენტის ცნობა-აღსრულებისთვის საჭირო პროცედურებს, მაგალითად, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით განსაზღვრულია უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურული წესი. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. [46]

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები;

გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასასმართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. ხსენებული ნორმა დეტალურად შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა- აღსრულება და ასევე, კანონი ასახელებს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახით, რომელიც უფლებამოსილია მოახდინოს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება.

ასევე, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 73^{1} -ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.[47] „არბიტრაჟის შესახებ“ შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მიხედვით, ეს კანონი ადგენს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს.[48] „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მიხედვით, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის მიზნებისათვის უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო.[49]

---

[46] „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[47] „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის $73^{1-ე}$ მუხლი.

[48] „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი.

[49] იქვე, 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

ამასთან, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება სასამართლოს განჩინების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

შესაბამისად, მაშინ, როდესაც კანონმდებელი დეტალურად არეგულირებს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების და უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებული არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებს წესებს, ასევე, უნდა დარეგულირდეს უცხო ქვეყნის ნოტარიუსის მიერ გამოცემული სანოტარო აქტის ცნობა-აღსრულების საკითხი, რადგან სანოტარო აქტიც არის დოკუმენტი, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილების მსაგავსად შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

4.1. სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ კონვენცია (მინსკის კონვენცია)

სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის (ე.წ. „მინსკის კონვენცია) 51-ე მუხლის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობებით ცნობს და აღასრულებს სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე გამოტანილ იუსტიციის დაწესებულებათა გადაწყვეტილებებს სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე, ხოლო კონვენციის 53-ე მუხლი კი, ითვალისწინებს, რომ შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს. მინსკის კონვენცია თავისი შინაარსით, ვიწრო გაგებით, მხოლოდ სამართლებრივ დახმარებას არ შეეხება – მისი გამოყენების სფერო ასევე მოქალაქეთა სამართლებრივი დაცვის საკითხებსაც მოიცავს[50] შესაბამისად, კონვენცია როგორც სამართლებრივი დახმარების, ასევე სამართლებრივი დაცვის ნაწილში ეფუძნება თანასწორობის პრინციპს[51].

კონვენციის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ, თავისუფლად და დაუბრკოლებლად მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დაწესებულებებს, რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, შეუძლიათ, გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩელები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, როგორი პირობებითაც სარგებლობენ მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები.

მინსკის კონვენცია შედგება სამი ტიპის ნორმათა ჯგუფისგან[52]:

---

[50] მინსკის კონვენციის პრეამბულა: „... უზრუნველყონ ხელშემკვრელ მხარეთა მოქალაქეებისათვის და მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისთვის ყველა ხელშემკვრელ მხარეში პირად და ქონებრივ უფლებებთან მიმართებით ისეთივე სამართლებრივი დაცვის მინიჭება, როგორიც ენიჭება საკუთარ მოქალაქეებს, ანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას თანამშრომლობის განვითარებას იუსტიციის დაწესებულებათა მიერ სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის დარგში...“

[51] „საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარება სამოქალაქო საქმეებზე“ პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2018.

[52] „Международная правовая помощь по гражданским и уголовным делам: на примере стран СНГ“ Евдокимовым-Михайленко, 2004, 43-49.

1. მატერიალურსამართლებრივი ნორმები;
2. პროცესუალურსამართლებრივი ნორმები;
3. კოლიზიურ-სამართლებრივი ნორმები[53];

4.2. მინსკის კონვენციის საფუძველზე აქტების ცნობა აღიარება

მინსკის კონვენციის 53-ე მუხლი განსაზღვრავს იმ დოკუმენტთა ჩამონათვალს, რომლებიც უნდა ერთოდეს შუამდგომლობას უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე აღსასრულებელი გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ შუამდგომლობას. შუამდგომლობას თან უნდა ერთოდეს:

1. კომპეტენტური სასამართლოს ან ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ შედგენილი შუამდგომლობა უცხო ქვეყნის კომპეტენტური სასამართლოს სახელზე, სადაც ჩამოყალიბებული იქნება თხოვნის არსი;

2. გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი;

3. ოფიციალური დოკუმენტი, იგივე სააღსრულებო ფურცელი, რომელიც ადასტურებს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, აუცილებლად, თარიღის მითითებით და ექვემდებარება აღსრულებას ან არ შესულა ძალაში, მაგრამ ძალაში შესვლამდე უნდა აღსრულდეს;

4. ცნობა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე არ აღსრულებულა ან არ მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება, აღნიშნული უნდა გასცეს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ;

5. დოკუმენტი, რომელიც ადასტურევს, რომ მხარე, რომლის მიმართაც უნდა აღსრულდეს გადაწყვეტილება, არ დასწრებია პროცესს, ან სათანადოდ არ იქნა წარმოდგენილი, თუმცა სათანადო დროსა და წესით იქნა მოწვეული პროცესზე;

6. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაწილობრივი აღსრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;

7. მხარეების შეთანხმება საქმის სასამართლოში განხილვის შესახებ (გადათქმა).

დამატებითი პირობებია, რომ შუამდგომლობა და თანდართული დოკუმენტები უნდა იყოს აუცილებლად ცნობა-აღსრულების თხოვნის მიმღები სახელმწიფოს (ჩვენს შემთხვევაში, ქართულ ენაზე) ან რუსულ ენაზე შედგენილი და სათანადოდ დამოწმებული.

4.3. უცხო ქვეყნის ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ცნობა-აღსრულება

უცხო ქვეყნის ნოტარიუსების მიერ გაცემული ნოტარიული აქტები, ოღონდ, მხოლოდ ფულადი ვალდებულებების თაობაზე, თავიანთი სამართლებრივი ხასიათის მიხედვით, ექცევიან მინსკის კონვენციის 51-ე მუხლით გათვალისწინებულ ცნობაუნარიან და აღსრულებად სამართლებრივ აქტებს შორის[54]. თუმცა, რაც შეეხება უცხო ქვეყნის ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, რამდენად

[53] მითითებითი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმები.

[54] „საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარება სამოქალაქო საქმეებზე“ პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2018.

შეიძლება, რომ იგი დაკვალიფიცირდეს „ფულადი ვალდებულებების თაობაზე“ გაცემულ ნოტარიულ აქტად. აღნიშნული აქტის ცნობა-აღსრულებისას მნიშვნელოვანია მათი შემოწმება „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის კონტექსტში[55], აუცილებელია, რომ დადგინდეს, უცხოური სანოტარო აქტის მოქმედების ფარგლები რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს. იმ შემთხვევაში კი, თუ უცხო ქვეყნის ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი ვერ დაკვალიფიცირდება „ფულადი ვალდებულებების თაობაზე“ გაცემულ ნოტარიულ აქტად, იგი მაინც შეიძლება იყოს აღსრულებაუნარიანი, მაგრამ ამ შემთხვევაში, „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ 72-ე მუხლის[56] საფუძველზე, იმ პირობით, თუ ასეთი აქტი თავისი სამართლებრივი ბუნებით არის საჯარო ხასიათის დოკუმენტი.

სასამართლო ორგანოთა აქტების გარდა, იძულებით აღსრულდება აგრეთვე სამოქალაქო იურისდიქციის მქონე მთელი რიგი სხვა ორგანოების -არბიტრაჟების, ნოტარიუსების აქტების საფუძველზე. ამით აიხსნება სააღსრულებო წარმოების ფუნქცია საქართველოს სამართლებრივ სისტემაში. კერძოდ, სააღსრულებო წარმოება ასრულებს იძულებითი აღსრულების რეგულატორის როლს, ძირითადად, სამოქალაქო საქმეებზე მიღებული აქტების მიმართ. ამის გამო, სააღსრულებო სამართალს შეიძლება ვუწოდოთ „სამოქალაქო სააღსრულებო სამართალი“[57]. ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი, რომელიც უნდა შესრულდეს ნოტარიატის კანონმდებლობის შესაბამისად, სააღსრულებო დოკუმენტია, რომელიც ექვემდებარება იძულებით აღსრულებას. ქართული საკანონმდებლო რეალობის ხარვეზი არის ის, რომ უცხო ქვეყნის ნოტარიუსის მიერ გაცემული სანოტარო აქტის- სააღსრულებო ფურცლის გაცემა არ არის შესაბამისად მოწესრიგებული. აღნიშნული პროცესის ანალიზისთვის მიზანშეწონილია განვიხილოთ უზენაესი სასამართლოს მიერ დანერგილი პრაქტიკა ხსენებულ პრობლემაზე.

4.4. საქართველოში ნოტარიუსის მიერ უცხოეთში გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების თავისებურება

უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე გამოცემული სამართლებრივი დოკუმენტის ცნობა-აღსრულების საკითხზე საუბრისას, მიზანშეწონილია, რომ კანონმდებელი ზუსტად განსაზღვრავდეს სხვადასხვა დოკუმენტის ცნობა-აღსრულებისთვის საჭირო პროცედურებს, მაგალითად, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით განსაზღვრულია უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურული წესი. საერთა-

[55] „ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების ვადადამდგარი მოთხოვნის, ქონებაზე უფლების გადაცემის, აგრეთვე დაგირავებულ/იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევის მოთხოვნის საფუძველზე, თუ ამაზე არსებობს მხარეთა შეთანხმება და ნოტარიუსის მიერ სანოტარო აქტში წერილობით განმარტებულია სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგები.“

[56] 1. სასამართლოს მიერ მხარეთა მორიგება და უცხო ქვეყნის საჯარო ხასიათის დოკუმენტები, რომლებიც ექვემდებარება აღსრულებას, შუამდგომლობის საფუძველზე ამ კანონის 70-ე და 71-ე მუხლების შესაბამისად აღსრულდება. 2. შუამდგომლობა შეიძლება დაკმაყოფილებულ არ იქნეს, თუ აღსრულება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

[57] *ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ.,* სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი პირველი, თბ., 2018, 19.

შორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს.[58]

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები;

გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. ხსენებული ნორმა დეტალურად შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა- აღსრულება და ასევე, კანონი ასახელებს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახით, რომელიც უფლებამოსილია მოახდინოს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება.

ასევე, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 73^{1} -ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.[59] „არბიტრაჟის შესახებ“ შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მიხედვით, ეს კანონი ადგენს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს. [60] „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მიხედვით, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის მიზნებისათვის უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო.[61] ამასთან, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება სასამართლოს განჩინების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

---

[58] „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[59] „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის $73^{1-ე}$ მუხლი.

[60] „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი.

[61] იქვე, 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

ქართველი კანონმდებელი რადგან დეტალურად არეგულირებს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების და უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებული არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებს წესებს, აუცილებელია ასევე, დარეგულირდეს უცხო ქვეყნის ნოტარიუსის მიერ გამოცემული სანოტარო აქტის ცნობა-აღსრულების საკითხი, რადგან სანოტარო აქტიც არის დოკუმენტი, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილების მსგავსად შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები, მისი აღუსრულებლობა კი ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი პრაქტიკისა და თეორიის დიდი ხარვეზი იქნება რაც დიდ გამოწვევას წარმოადგენს, რის ნაწილობრივ აღმოსაფხვრელადაც შეიქმნა აღნიშნული დოქტორანტის სემინარი.

4.5. სასამართლო პრაქტიკა

Rajesh Wadhwa v. Dr. Sushma Govil, AIR 1989 Deli[62] გადაწყვეტილების მიხედვით, დელის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მიიჩნევდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არ იყოს ურთიერთშეთანხმება ინდოეთსა და სხვა ქვეყანას შორის, ნოტარიუსის სანოტარო აქტები უცხო ქვეყანაში სასამართლომ შეიძლება ცნოს და აღასრულოს. შეუძლებელია, რომ ნოტარიუსთა კანონის მე-14 პუნქტი არანაირ გავლენას არ ახდენს მტკიცებულებათა შესახებ კანონის 85-ე პუნქტის კონსტრუქციაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისი პუნქტები მგომარეობს შემდეგში:

„სასამართლომ ასევე დაადგინა ნოტარიუსთა კანონის მე-14 ნაწილის დებულებები და თავდაპირველად დარწმუნდა, არის თუ არა ინდოეთის ნოტარიუსთა სანოტარო აქტის ვალიდურობაზე შეთანხმება აღიარებული აშშ-ში და პირიქით, აშშ-ის ნოტარიუსთა აქტები ინდოეთში და დაადგინა, რომ ინდოეთი ცნობს და აღიარებს უცხო ქვეყნის ნოტარიუსის მიერ გაცემულ სანოტარო აქტს, ამდენად, აღნიშნული დოკუმენტი დასაშვებია და იურიდიული ძალის მქონეა ინდოეთში. სასამართლომ ასევე ურჩია, რომ დროა ცენტრალურმა მთავრობამ გასცეს საჭირო შეტყობინებები ნოტარიუსთა აქტის მე-14 ნაწილის აქტუალურია 1948 წლის დიპლომატიური და საკონსულო თანამდებობის პირთა (ფიცი და მოსაკრებლების)[63] კანონის მე-3 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს უფლებამოსილებებს საზღვარგარეთ ფიცისა და სანოტარო მოქმედებების მიმართ და აღნიშნული დებულება იკითხება შემდეგნაირად: „უფლებამოსილებები სანოტარო აქტების მიმართ საზღვარგარეთ.- (1) ნებისმიერ დიპლომატიურ ან საკონსულო მოხელეს შეუძლია ნებისმიერ უცხო ქვეყანაში ან ადგილას, სადაც ის ახორციელებს თავის ფუნქციებს, ნებისმიერი სანოტარო აქტის ცნობა მოითხოვოს უცხო სახელმწიფოს ფარგლებში;

5. დასკვნა

ნაშრომის ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო აქტების ცნობა-აღსრულება სათანადოდ რეგულირდება მინსკის კონვენციის საფუძველზე, თუმცა უცხო ქვეყნის ნოტარიუსის მიერ გაცემული აქტების აღიარებისა და აღსრულების პრაქტიკა მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდება.

---

[62] Case No. S.A.O No. 378/87 & S.A.O No. 379/87.

[63] Diplomatic and Consular Officers (Oaths and Fees) Act, 1948.

საერთაშორისო გამოცდილების განხილვამ, მათ შორის ესპანეთის, გერმანიის, ნიდერლანდების და სხვა ქვეყნების მაგალითებზე, ცხადყო, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებაა. აუცილებელია ისეთი მექანიზმების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფს უცხოური სანოტარო აქტების აღსრულებას საქართველოს სამართლებრივი პრინციპების შესაბამისი კრიტერიუმებით.

კვლევამ წარმოადგინა რეკომენდაციები, რომლებიც მოიცავს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ადაპტაციას, უცხო ქვეყნის ნოტარიუსის აქტების აღიარების მკაფიო კრიტერიუმების დადგენას და საქართველოს სამართლებრივ სისტემაში მათი სრულყოფილად ინტეგრირებას. აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს სამართლებრივი პროცესის გაუმჯობესებას და ნოტარიუსის ინსტიტუტის გაძლიერებას.

ბიბლიოგრაფია:

1. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი;
2. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი;
3. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის.
4. საქართველოს კონსტიტუცია;
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
6. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
7. „საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარება სამოქალაქო საქმეებზე“ პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2018.
8. ნოტარიუსთა ასოციაცია პენსილვანიაში, იხ. <https://www.notary.org/article-why-are-notaries-still-important> [25.04.2025]. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების სპეციფიკა, *როსტიაშვილი მ.,* თბ., 2019, 18, 22, 37.
9. *ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ.,* სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი პირველი, თბ., 2018, 9, 10,1 9.
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე მედეა გვაზავა და ჯულიეტა არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
11. *სუხიტაშვილი დ.,* სანოტარო სამართალი, თბ., 37,40, 43.
12. *ხარიტონაშვილი ნ.* სანოტარო სამართალი 2021, თბ., ბონა კაუზა. 16, 19, 31.
13. *Christian R.*, Wolf, Real-estate property Law Germany, Key Aspects of German business law, a practical manual, Michael Wendler (ed) 4, ed., Berlin, Heidelberg, Springer 2008.
14. Debt Collection in Europe, Christian Steden etc., European Law Firm, 2019, 35 <https://www.european-law-firm.com/guide/debt-collection-in-europe07022019.pdf> [01.05.2024].
15. Diplomatic and Consular Officers (Oaths and Fees) Act, 1948.
16. Ley de Enjuiciamiento Civil, (Jefatura del Estado) núm. 7, de 08/01/2000, BOE-A-2000-323, art. 517.2. 4^0.
17. Ley del Notariado de (Ministerio de Gracia y Justicia), num. 149, de 29/05/1862, BOE-A-1862-4073.
18. *Faba J.M.,* Sobre la fuerza ejecutiva de la escritura pública y el nuevo sistema de expedición de copias: cuestiones surgidas en la jurisprudencia actual. Revista CESCO De Derecho De Consumo, (20), 2017, 74-81, <https://revista.uclm.es/index.php/cesco/article/view/1247> [25.04.2025].
19. Notary History, Clay Mason, იხ. <https://www.superiornotaryservices.com/blog/history-of-the-notary-seal/> [25.04.2025].
20. Paul Van Der Molen, Land registration and cadaster in selected European countries, Austria, Bulgaria, Croatia, Hungary, Netherlands, Serbia, ed. By center of legal competence e(CLC), published by Intersentia, 2009.
21. Reglamento Hipotecario, (Ministerio de Justicia) núm. 106, de 16/04/1947, BOE-A-1947-3843.

22. *Rouchaud A.M.,* Conclusions – Workshop No. 2: Writs of execution, The Execution of court decisions in civil cases, Council of EuropaPublishing, 1998.
23. The activities of the Dutch enforcement agent, Jos Uitdehaag, Oct 2014, Netherlands.
24. „Международная правовая помощь по гражданским и уголовным делам: на примере стран СНГ“ Евдокимовым-Михайленко, 2004.
25. Case No. S.A.O No. 378/87 & S.A.O No. 379/87.
26. <www.E-justice.europa.eu> procedures for enforcing a judgement – Croatia; https://e-<justice.europa.eu/content_procedures_for_enforcing_a_judgment-52-hr-en.do?member=1> [25.04.2025].
27. <http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:52008> [25.04.2025].
28. <http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=IP/08/1156&format=HTML&aged=0&language=EN&guiLanguage=fr> [25.04.2025].
29. <http://law.vanderbilt.edu/publications/journal-entertainment-technology-law/archive/download.aspx?id=1749> [25.04.2025].
30. <http://www.ascap.com/filmtv/movies-part1.html> [25.04.2025].
31. <http://www.ascap.com/playback/2005/winter/features/cuesheets.aspx> [25.04.2025].
32. <http://www.cippm.org.uk/downloads/Press%20Release%20Copyright> [25.04.2025].
33. <http://www.culture.gouv.fr/culture/actualites/dossiers/internet-creation08/6%20-%20Projet%20de%20loi.pdf> [25.04.2025].
34. <http://www.darkhorizons.com/interviews/736/woody-allen-for-melinda-melinda> [25.04.2025].
35. <http://www.filmmaking.net/FAQ/answers/faq96.asp> [25.04.2025].
36. <http://www.guardian.co.uk/technology/2009/mar/10/youtube-performing-rights-society-music> [25.04.2025].
37. <http://www.obs.coe.int/oea_publ/iris/iris_plus/iplus5_2008.pdf.e> [25.04.2025].
38. <http://www.wipo.int/treaties/en/ip/berne/trtdocs_wo001.html> [25.04.2025].
39. <https://blogs.law.gwu.edu/mcir/case/bouffard-v-ministere-public/> [25.04.2025].
40. <https://core.ac.uk/download/pdf/144230555.pdf> [25.04.2025].
41. <https://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2023-04/cp230062en.pdf> [25.04.2025].
42. <https://lup.lub.lu.se/luur/download?func=downloadFile&recordOId=9086912&fileOId=9086982> [25.04.2025].
43. <https://lup.lub.lu.se/luur/download?func=downloadFile&recordOId=9086912&fileOId=9086982> [25.04.2025].